

## წამახალისებელი გათამაშების მოწყობის რეგლამენტი, წესები და მოწყობის პირობები

წინამდებარე რეგლამენტი და გათამაშების მოწყობის პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს გათამაშებაში მონაწილეობის, საპრიზო ფონდის გათამაშების და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებებსა და კრიტერიუმებს.

### 1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **ბანკი** - სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.
- 1.2. **მონაწილე** - საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელიც ბანკში რეგისტრირებულია როგორც კლიენტი (რომელიც იდენტიფიცირებულ-ვერიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) (გარდა წინამდებარე წესებითა და პირობებით დადგენილი გამონაკლისებისა) და გათამაშების პერიოდში შეასრულებს ბანკის მიერ გამოშვებული ნებისმიერი ბარათით ტრანზაქციას **PLUS ქულების** გამოყენებით.
- 1.3. **მობილ ბანკი** - ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურება - მობილ ბანკი.
- 1.4. **გათამაშება** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესებითა და პირობებით გათვალისწინებული წამახალისებელი გათამაშება.
- 1.5. **PLUS პროგრამა** - ბანკის ლოიალურობის პროგრამა PLUS, რომლის ფარგლებშიც ბანკის კლიენტები აგროვებენ პირობით ლოიალურობის ქულებს - PLUS ქულებს და აქვთ საშუალება PLUS ქულა გადაცვალონ ლარში და ამ გზით შეიძინონ საქონელი ან/და მომსახურება იმ პირობებისგან, რომლებიც სარგებლობენ ბანკის პოსტერმინალისა და ელექტრონული კომერციით მომსახურებით და რომლებთანაც შესაძლებელია ტრანზაქციის შესრულება **PLUS ქულების** გამოყენებით.
- 1.6. **PLUS ქულა/ქულა** - პირობითი ლოიალურობის ერთეული, რომელსაც ბანკი PLUS პროგრამის ფარგლებში, კლიენტის მიერ შესრულებულ სხვადასხვა გადახდის ოპერაციის საფუძველზე გადასცემს კლიენტს და რომლის ოდენობა აღირიცხება კლიენტის სარგებლობაში არსებულ ბარათზე.
- 1.7. **ტრანზაქცია** - საქონლის ან/და მომსახურების შეძენის მიზნით ბანკის პოსტერმინალზე ან/და ელექტრონული კომერციის ფარგლებში ბანკის მიერ გამოშვებული სადებეტო ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია, რომელიც განხორციელდა არანაკლებ 1000 (ათასი) პლუს ქულის ლარში სრულად გადაცვლის საფუძველზე.
- 1.8. **ელექტრონული კომერცია** - ელექტრონულად/ონლაინ/ინტერნეტის გამოყენებით გადახდის ოპერაციის/ტრანზაქციის შესრულების საშუალება.
- 1.9. **პოს-ტერმინალი** - ბანკის ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბარათით გადახდის ოპერაციის/ტრანზაქციის შესასრულებლად.
- 1.10. **ბარათი** - ბანკის მიერ გამოშვებული როგორც ციფრული, ასევე პლასტიკური საგადახდო სქემაში ჩართული სადებეტო ბარათი.
- 1.11. **სასაჩუქრე ბარათი** - ციფრული სასაჩუქრე ბარათი

### 2. გათამაშების ორგანიზატორი:

- 2.1. სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.

### 3. გათამაშების მიზეზი

3.1. გათამაშების მოწყობის ძირითად მიზებს წარმოადგენს არსებული და პოტენციური ბანკის კლიენტების წახალისება, რათა ისარგებლონ ბანკის მიერ გამოშვებული ბარათითა და **PLUS პროგრამით** და განახორციელონ **ტრანზაქციები** ბანკის **PLUS ქულების** გამოყენებით.

#### 4. გათამაშების მიზანი

4.1. გათამაშების მიზანს წარმოადგენს ბანკის **PLUS პროგრამის** კლიენტების რაოდენობისა და ბანკის მიერ გამოშვებული ბარათით **PLUS ქულების გამოყენებით** შესრულებული **ტრანზაქციების** წახალისება და მისი რაოდენობის გაზრდა, ასევე ბანკის პოს-ტერმინალისა და ელექტრონული კომერციის მომსახურებით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობის გაზრდა.

#### 5. გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები:

5.1. გათამაშებაში მონაწილეობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირები, რომელიც ბანკში რეგისტრირებული არიან როგორც კლიენტი და რომლებიც ფლობენ საქართველოს ბანკის მიერ გამოშვებულ სადებეტო ბარათს;

5.2. გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ და გამარჯვებულად ვერ გამოვლინდებიან:

5.2.1. არასრულწლოვანი/18 წელს მიუღწეველი პირები;

5.2.2. პირები, რომლებსაც გათამაშების დაწყებამდე ან/და მისი მიმდინარეობის პერიოდში შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაუდგინდათ შეზღუდვა (სანქცია) საბანკო მომსახურების მიღებასთან ან/და საბანკო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით;

5.2.3. **ბანკში** დასაქმებული (მათ შორის შრომითი ან მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის ხელშეკრულებით) ფიზიკური პირები.

5.2.4. იურიდიული პირ(ებ)ი, ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.

#### 6. პროდუქციის/მომსახურების აღწერა

6.1. **ბანკი** მომხმარებლებს სთავაზობს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საბანკო საქმიანობის ფარგლებში დადგენილ შემდეგ მომსახურებებს:

ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ე1) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასეულობათა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) შენახვა და აღრიცხვა, მათ შორის, ანგარიშის მწარმოებლის ფუნქციის შესრულება;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ი1) სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ი2) ქონების იჯარით გაცემა;
- ი3) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- ი4) ქონების ლიზინგით გაცემა;
- კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- ლ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

**ბანკი** ზემოჩამოთვლილ დ) ე) და კ) ქვეპუნქტებში აღწერილი მომსახურების ფარგლებში, ახორციელებს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ტიპის ბარათის (მათ შორის სადებეტო ბარათის, წინასწარი გადახდის ბარათის) ემისიას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს შემდეგ საბარათე სქემაში: Visa, Mastercard, American Express, Georgian Card და რომლების გამოყენებითაც, გადახდის ოპერაციის საფუძველზე, ბანკის კლიენტს გადაეცემა **PLUS ქულები**.

**გათამაშება** უკავშირდება ბანკის მიერ გამოშვებული სადებეტო ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაციებისა და **ტრანზაქციის** მომსახურებას, მისი საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორების მომსახურების განხორციელებასა , რომლის შესახებ დეტალური ინფორმაციაც წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

## 7. გათამაშებაში ჩართვა:

- 7.1. **გათამაშებაში მონაწილის** ჩართვა ხდება ავტომატურად, **ბარათით ტრანზაქციის** - საქონლის ან/და მომსახურების შეძენის მიზნით ბანკის **პოსტერმინალზე** ან/და **ელექტრონული კომერციის** მომსახურების ფარგლებში ბანკის მიერ გამოშვებული სადებეტო ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია, რომელიც განხორციელდა არანაკლებ 1000 (ათასი) პლუს ქულის ლარში სრულად გადაცვლის საფუძველზე განხორციელების საფუძველზე და განხორციელებისთანავე.

- 7.2. **გათამაშებაში** მონაწილეობას იღებს ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს **წესებით** დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს და ასრულებს ბარათით **ტრანზაქციას**.
- 7.3. **გათამაშებაში** მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც **გათამაშების** დაწყებისთანავე, ასევე **გათამაშების** მიმდინარეობისას მის დასრულებამდე.
8. **გათამაშების ბილეთების დაგროვების წესი**
- 8.1. **გათამაშებაში** მონაწილეობას იღებს **ბანკის პოს-ტერმინალის** და **ელექტრონულ კომერციის** მომსახურების ფარგლებში **ბარათით** განხორციელებული **ტრანზაქციები** (საქონლის ან/და მომსახურების შეძენის მიზნით ბანკის პოსტერმინალის ან/და ელექტრონული კომერციის მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მიერ გამოშვებული სადებეტო **ბარათით** შესრულებული გადახდის ოპერაცია, რომელიც განხორციელდა არანაკლებ 1000 (ათასი) პლუს ქულის ლარში სრულად გადაცვლის საფუძველზე), გარდა წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა
- 8.2. წინამდებარე **წესების** შესაბამისად განხორციელებულ ყოველ **ტრანზაქციას** **ბანკი** ანიჭებს უნიკალურ კოდს, რაც წარმოადგენს გათამაშების ბილეთს.
- 8.3. **მონაწილეს ტრანზაქციის** შესრულების შემთხვევაში, ყოველ ერთ **ტრანზაქციაზე** დაუგენერირდება გათამაშების 1 (ერთი) ბილეთი.
- 8.4. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ 1000 (ათასი) და მეტი **PLUS ქულის** გადაცვლის საფუძველზე განხორციელებული **ტრანზაქციები**.
- 8.5. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, **მონაწილე** არ არის შეზღუდული **ტრანზაქციის** რაოდენობასა ან/და ოდენობაში.
9. **ბილეთების დაგროვების შეზღუდვა (გამონაკლისები)/ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს (ბილეთები არ დაგროვდება) შემდეგი ტრანზაქციები:**
- 9.1. ელექტრონული საფულებებში დამატებული ბარათით შესრულებული **ტრანზაქციები** (არ იგულისხმება Apple Pay/Google Pay-ის აპლიკაციაში დამატებული **ბარათით** განხორციელებული **ტრანზაქციები**)
- 9.2. ფიზიკურ/იურიდიულ პირთან ბარათით **PLUS ქულების** გადარიცხვები.
- 9.3. **ტრანზაქციები**, რომლებიც არ არის დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შეძენასთან, არ გამოყენებულა **ბანკის პოს-ტერმინალის** ან/და **ელექტრონული კომერციის** მომსახურება.
- 9.4. საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის პოლიტიკით/პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი უკანონონო **ტრანზაქციები**.
10. **გათამაშების ჩატარების პერიოდი**
- 10.1. გათამაშება იწყება 2024 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან და გრძელდება 2024 წლის 25 ივნისის 23:59:59 ჩათვლით.
- 10.2. გათამაშება შედგება 2 (ორი) შუალედური გათამაშებისგან, რომელთაგან თითოეული შუალედური გათამაშების პერიოდში ყოველდღიურად გამოვლინდება გამარჯვებული.
- 10.3. პირველი შუალედური გათამაშების პერიოდია 28 კალენდარული დღე, რომელიც გაიმართება 2024 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 28 მაისის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო პირველი შუალედურის გათამაშების პერიოდში გამარჯვებული ბილეთები გამოვლინდებიან ყოველდღიურად და მომენტალურად, მონაწილის მიერ ტრანზაქციის განხორციელების საფუძველზე.

- 10.4. მეორე შუალედური გათამაშების პერიოდია 28 კალენდარული დღე, რომელიც გაიმართება 2024 წლის 29 მაისის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 25 ივნისის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მეორე შუალედურის გათამაშების პერიოდში გამარჯვებული ბილეთები გამოვლინდებიან ყოველდღიურად და მომენტალურად, მონაწილის მიერ ტრანზაქციის განხორციელების საფუძველზე.

## 11. გათამაშების საპრიზო ფონდი

- 11.1. გათამაშების საპრიზო ფონდი შედგება 772 (შვიდას სამოცდათორმეტი) ერთეული პრიზისგან - ციფრული სასაჩუქრე ბარათისგან, რომელთა რაოდენობები, შესაბამისი ნომინალების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

კომპანია, რომლის ციფრული სასაჩუქრე ბარათიც არის პრიზი	ციფრული სასაჩუქრე ბარათის ნომინალური ღირებულება - ლარი	პრიზების რაოდენობა - ერთეული
ელიტ ელექტრონიქსი	500	24
ელიტ ელექტრონიქსი	1,000	4
ელიტ ელექტრონიქსი	5,000	4
ალტა	500	24
ალტა	1,000	4
ალტა	5,000	4
ზარა	100	112
ზარა	500	8
ზარა	1,000	2
თრეიდლაინი	100	168
თრეიდლაინი	500	16
თრეიდლაინი	1,000	2
ლუტეცია	100	112
ლუტეცია	500	16
ლუტეცია	1,000	2
თაიმი	100	112
თაიმი	500	16
თაიმი	1,000	2
კენარი	500	16
კენარი	1,000	2
ICR	100	112
ICR	500	8
ICR	1,000	2

საპრიზო ფონდის ჯამური ღირებულება - 232 000 (ორას ოცდათორმეტი ათასი) ლარი, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადს.

გათამაშების ქრილში გამოვლინდება 772 (შვიდას სამოცდათორმეტი) გამარჯვებული ბილეთი.

## 12. გათამაშების ჩატარების ფორმა და წესი

- 12.1. გათამაშების პროცესი წარიმართება შემდეგი გზით:
- 12.2. **გათამაშება** ჩატარდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით.
- 12.3. გამარჯვებული გამოვლინდება ყოველდღიურად - ანუ გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში.
- 12.4. **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფა, გათამაშების მიმდინარეობისას ყოველდღიურად, ყოველი კალენდარული დღის განმავლობაში, რომელიც აითვლება კალენდარული დღის 00:00:01 წთ-დან 23:59:59 წთ-მდე პერიოდში, გამოავლენს გამარჯვებულ ბილეთს **მონაწილის** მიერ განხორციელებული **ტრანზაქციის** შედეგად დაგენერირებულ უნიკალური კოდს, რომელიც არის გათამაშების ბილეთი საფუძველზე გამარჯვებული ბილეთი ვლინდება **ტრანზაქციის** შესრულებისთანავე, მომენტალურად.
- 12.5. **გათამაშების** მიმდინარეობისას, **ბანკის** მასშტაბით შეიქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გათამაშების ჩატარებას/საპრიზო ფონდის გათამაშებას, წამახალისებელი გათამაშების მოწყობას წინამდებარე წესებისა და პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად.
- 12.6. **გათამაშების** გამარჯვებულები გამოვლინდებიან **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რომელიც იყენებს Oracle -ის შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებულ ფუნქციას: dbms\_random.value.
13. **გათამაშების ჩატარების ადგილი**
- 13.1. გათამაშების ჩატარების ადგილია სს საქართველოს ბანკის სათავო ოფისი, სადაც განთავსებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს: მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. გაგარინის 1. N 29ა
14. **გამარჯვებულის გამოვლენა**
- 14.1. გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში, გამარჯვებულები გამოვლინდებიან ყოველდღიურად, შემდეგი პრინციპის დაცვით:
- 14.2. **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფა, გათამაშების მიმდინარეობისას ყოველდღიურად, ყოველი კალენდარული დღის განმავლობაში, რომელიც აითვლება კალენდარული დღის 00:00:01 წთ-დან 23:59:00 წთ-მდე პერიოდში, შემთხვევითობის პრინციპით შეარჩევს გამარჯვებულ ტრანზაქციას, ტრანზაქციის შესრულებისთანავე მისი უნიკალური კოდის მიხედვით;
- 14.3. როგორც პირველი, ასევე მეორე შუალედური გათამაშების პერიოდში, ცალ-ცალკე, თითოეული შუალედური გათამაშების მიმდინარეობისას, გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგი პრინციპით:
- 14.3.1. ყოველდღიურად გამოვლინდება 11 (თერთმეტი) გამარჯვებული და დამატებით გამარჯვებულ(ებ)ი, რომლის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:
- 14.3.2. ყოველი კალენდარული 7 (შვიდი) დღის განმავლობაში დამატებით გამოვლინდება 16 (თექვსმეტი) დამატებითი გამარჯვებული, რომელთა რაოდენობა შემთხვევითობის პრინციპით დაემატება ყოველდღიურ გამარჯვებულების რაოდენობას - შესაბამისად ყოველი კალენდარული 7 (შვიდი) დღის განმავლობაში ჯამურად გამოვლინდება ყოველდღიურად 11 (თერთმეტი) და დამატებით, 7 (შვიდი) დღის ჭრილში 16 (თექვსმეტი) გამარჯვებული - სულ 93 (ოთხმოცდა ცამეტი) გამარჯვებული.
- 14.3.3. ყოველი კალენდარული 28 (ოცდარვა) დღის განმავლობაში დამატებით გამოვლინდება 14 (თოთხმეტი) გამარჯვებული, რომელთა რაოდენობა შემთხვევითობის პრინციპით დაემატება

ყოველდღიურ გამარჯვებულების რაოდენობას, შესაბამისად ყოველი კალენდარული 28 (ოცდარვა) დღის განმავლობაში ჯამურად გამოვლინდება ყოველდღიურად 11 (თერთმეტი) და დამატებით 16 (თექვსმეტი) და 14 (თოთხმეტი) გამარჯვებული - სულ 386 (სამას ოთხმოცდა ექვსი) გამარჯვებული.

გამოსავლენი გამარჯვებულების რაოდენობა, შესაბამისი პერიოდების მითითებით, ცხრილის სახით:

N	თარიღი	ყოველდღიურად გამოვლენილი გამარჯვებულების რაოდენობა	დამატებითი გამოსავლენი გამარჯვებულის რაოდენობა, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდება შესაბამის კალენდარულ 7 დღეზე	დამატებითი გამოსავლენი გამარჯვებულის რაოდენობა, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდება შესაბამის კალენდარულ 28 დღეზე
1	5/1/24	11	16	14
2	5/2/24	11		
3	5/3/24	11		
4	5/4/24	11		
5	5/5/24	11		
6	5/6/24	11		
7	5/7/24	11		
8	5/8/24	11	16	
9	5/9/24	11		
10	5/10/24	11		
11	5/11/24	11		
12	5/12/24	11		
13	5/13/24	11		
14	5/14/24	11		
15	5/15/24	11	16	
16	5/16/24	11		
17	5/17/24	11		
18	5/18/24	11		
19	5/19/24	11		
20	5/20/24	11		
21	5/21/24	11		
22	5/22/24	11	16	
23	5/23/24	11		
24	5/24/24	11		
25	5/25/24	11		
26	5/26/24	11		

27	5/27/24	11		
28	5/28/24	11		
29	5/29/24	11		
30	5/30/24	11		
31	5/31/24	11		
32	6/1/24	11	16	
33	6/2/24	11		
34	6/3/24	11		
35	6/4/24	11		
36	6/5/24	11		
37	6/6/24	11		
38	6/7/24	11		
39	6/8/24	11	16	
40	6/9/24	11		
41	6/10/24	11		
42	6/11/24	11		
43	6/12/24	11		14
44	6/13/24	11		
45	6/14/24	11		
46	6/15/24	11	16	
47	6/16/24	11		
48	6/17/24	11		
49	6/18/24	11		
50	6/19/24	11		
51	6/20/24	11		
52	6/21/24	11		
53	6/22/24	11	16	
54	6/23/24	11		
55	6/24/24	11		
56	6/25/24	11		

- 14.4. **გათამაშების** სრულ პერიოდში, ჯამურად გამოვლინდება 772 (შვიდას სამოცდათორმეტი) გამარჯვებული ბილეთი.
- 14.5. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნებისთვის, ერთი **ტრანზაქცია** შესაძლებელია გამოვლინდეს გამარჯვებულად მხოლოდ ერთხელ.
- 14.6. გათამაშების მიზნებისთვის, **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **მონაწილის** მხრიდან თაღლითობის/ინტერესთა კონფლიქტის/მართლსაწინააღმდეგო/წესების დარღვევის ქმედებები და მათი შესაბამისობა წესებთან/კანონმდებლობასთან/ბანკის პოლიტიკასთან,



როგორც **ტრანზაქციის** განხორციელებისას, ასევე მის შემდეგ გათამაშების ეტაპის დასრულებამდე.

14.7. ამ წესებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვება უქმდება.

## 15. გამარჯვებულისათვის პრიზების გადაცემა და პრიზის გადაცემის პირობები

15.1. გამარჯვებული მონაწილის ინფორმირება მოგების შესახებ მოხდება მომგებიანი **ტრანზაქციის** შესრულებიდან მომენტალურად, ბანკში მის მიერ ბანკში დარეგისტრირებულ საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლეტექსტური შეტყობინებს გაგზავნის გზით.

15.2. მოკლეტექსტურ შეტყობინებაში მითითებული იქნება მონაწილის მიერ მოგებული პრიზის, კომპანიის, ნომინალური ღირებულებისა და ციფრული სასაჩუქრე ბარათის აქტივაციის შესახებ დეტალები;

15.3. გამარჯვებულ **მონაწილეს** შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს პრიზით შემდეგი ორი გზიდან ერთ-ერთით:

15.3.1. ბანკის მობილბანკის გამოყენებით, რა დროსაც ციფრული სასაჩუქრე ბარათების სექციაში გამოუჩნდებათ მოგებული პრიზი - ციფრული სასაჩუქრე ბარათი და მიღებული ციფრული სასაჩუქრე ბარათის უნიკალური კოდი.

15.3.2. ციფრული სასაჩუქრე ბარათის ელექტრონული ბმულის (ლინკი) სახით მიღების გზით, რა დროსაც ციფრული სასაჩუქრე ბარათის ელექტრონული ბმული (ლინკი) გამარჯვებულს გაგზავნება მის მიერ **ბანკში** დარეგისტრირებულ საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერზე. ელექტრონული ბმულზე (ლინკი) ხელმისაწვდომი იქნება ციფრული სასაჩუქრე ბარათი და და მიღებული ციფრული სასაჩუქრე ბარათის უნიკალური კოდი.

15.4. 15.3.2. პუნქტით გათვალისწინებული გზით პრიზის გადაცემა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული არ სარგებლობს ბანკის მობილბანკით და პრიზის მიღების მოთხოვნას დააფიქსირებს **ბანკის** ცხელ ხაზზე ნომერზე 0322444444. გამარჯვების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ გამარჯვებულს აქვს საშუალება დარეკოს **ბანკის** ცხელ ხაზზე და დააფიქსიროს მოთხოვნა პრიზის მის მიერ ბანკში დარეგისტრირებულ საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შესახებ.

15.5. ციფრული სასაჩუქრე ბარათის გამოყენების პერიოდი და პირობები რეგულირდება „სასაჩუქრე ბარათების პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).

15.6. პრიზის მიმღებს არ აქვს უფლება პრიზი გადასცეს/გაასხვისოს ნებისმიერ სხვა/მესამე პირს.

15.7. პრიზის გაცემის ადგილია: **ბანკის მობილ ბანკის** სივრცე ან **მონაწილის** მიერ **ბანკში** რეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც გამარჯვებულ **მონაწილეს**, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, გაეგზავნება ციფრული სასაჩუქრე ბარათის ელექტრონული ბმული (ლინკი).

15.8. პრიზის გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე. მოგება გაიცემა გამარჯვებული მონაწილის მობილ ბანკში ან ტელეფონის ნომერზე პრიზის დაგენერირებიდან/კოდის გაგზავნიდან 6 კალენდარული დღის განმავლობაში. პრიზის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი გზით - გამარჯვებულმა ციფრულ სასაჩუქრე ბარათზე დატანილი უნიკალური კოდი უნდა წარადგინოს შესაბამისი კომპანიის სავაჭრო-მომსახურების ობიექტში და ციფრული სასაჩუქრე ბარათზე დატანილი უნიკალური კოდი უკარნახოს სავაჭრო-მომსახურების ობიექტის თანამშრომელს, რის საფუძველზეც განხორციელდება ბანკის პოსტერმინალზე უნიკალური კოდის შეყვანის გზით შესაბამისი პროდუქციის შექენა.

- 15.9. ბანკი არ ანაზღაურებს პრიზის მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
16. **ზოგადი პირობები**
- 16.1. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი გამარჯვებულისათვის გადაცემული პრიზის ნებისმიერი მიზეზით გამოუყენებლობაზე.
- 16.2. **გათამაშების მოწყობის წესები** და პირობები არის საჯაროდ გამოქვეყნებული და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge)
17. **პრეტენზიების მიღებისა და განხილვის წესი**
- 17.1. **გათამაშების** ფარგლებში პრეტენზიები მიიღება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თითოეული **გათამაშების** დასრულებიდან, რომელთან დაკავშირებითაც მონაწილე გამოთქვამს პრეტენზიას
- 17.2. პრეტენზია მიიღება წერილობითი ფორმით სს „საქართველოს ბანკის“ ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი ი.გაგარინის 29ა, ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- 17.3. მიღებულ პრეტენზიას განიხილავს ბანკის მასშტაბით გათამაშების მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური კომისია, ხოლო მიღებულ პრეტენზიაზე კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და იმავე ფორმით აცნობებს პრეტენზიის წარმდგენს არაუგვიანეს პრეტენზიის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- 17.4. გათამაშებაში მონაწილე პირსა და **ბანკს** შორის გათამაშებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუთანხმებლობა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 17.5. **გათამაშების** მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება არაუგვიანეს დასრულებიდან 3 კალენდარული დღისა, ბანკის ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).